

№ 92, წ(092)

შ-95 წვანე ჯაფახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა შურდაია

სპარსული პარემიოგრაფია და სპარსული
ანდამის ამრობრივი სტრუქტურა

10.01.06. – მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა
ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2003

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ალექსანდრე გვახარია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:

1. თეო ჩხეიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 10.02.06.
2. ზურაბ კიკნაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 10.01.09.

დისერტაციის დაცვა შედგება 2004 წ. "9" აგვისტო 14.00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P 10.05 №4 სხდომაზე (0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №36)

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2003 წლის 5 აგვისტოს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

(რ.ციხიშვილი)

Handwritten signature

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქართული ირანისტიკის ინტერესთა მრავალფეროვნების მიუხედავად, დღემდე საქართველოში სპარსული ანდაზების მეცნიერული კვლევით საგანგებოდ არაფერია დაინტერესებულა. XX საუკუნის ბოლო ათწლეულის მიწურულს ირანელი მეცნიერები კვლავ მიუთითებენ სპარსული ანდაზების შესახებ გამოკვლევათა არარსებობის თაობაზე, ხოლო ევროპელი მეცნიერები აღნიშნავენ ამ სფეროში დასავლელ მკვლევართა ნაშრომების სიმწირეს. თუ გავითვალისწინებთ იმ მნიშვნელობას, რომელიც პარემიებსა და ფრაზეოლოგიას ენიჭება სპარსული ენის შესწავლის საქმეში, აგრეთვე, იმ განსაკუთრებულ ურთიერთობას, რომელიც ქართულ და სპარსულ ლიტერატურებს აკავშირებს, თემის აქტუალობა ნათელი გახდება. სპარსული ანდაზების კვლევა მნიშვნელოვანია ქართული პარემიოლოგიური ფონდის შესწავლის, ქართული და სპარსული პარემიების შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის, მომავალში კი სპარსულ-ქართული და პირუკუ ლექსიკონის მასალების მომზადების მხრივაც.

კვლევის მიზანი და ობიექტი. ქართულ-სპარსული ანდაზების, აფორიზმებისა და ანდაზური თქმების მომავალი შედარებით-ტიპოლოგიური კვლევისათვის აუცილებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ორი ენის პარემიოლოგიური ფონდის შესახებ. ნაშრომის მიზანია სპარსული პარემიოგრაფიის შესწავლა, მისი თავისებურებების გამოვლენა, ამ ენაზე არსებული ანდაზების ამრობრივი სტრუქტურის გარკვევა, ანდაზების, აფორიზმებისა და ანდაზური თქმების შესახებ ირანულ პარემიოლოგიათა თეორიული მოსაზრებების განხილვა და შეფასება. ამ მიზნით ნაშრომში შესწავლილია ირანში თუ მის ფარგლებს გარეთ გამოცემული სპარსული ანდაზების მნიშვნელოვანი კრებულები (XVII საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული დღემდე) და ორენოვანი პარემიოლოგიური ლექსიკონები, აგრეთვე, სპარსული განმარტებითი და ორენოვანი ლექსიკონები, თანამედროვე ირანულ მწერალთა ნაწარმოებები, გამოყენებულია ცოცხალი ინფორმანტების მიერ მოწოდებული მასალა. ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლეები. შესწავლილია სპარსული ანდაზების მნიშვნელოვანი კოლექციები,

1915